ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3323149

ნომერი: AR1511555

თარიღი : 06.06.2017

გაცემის თარიღი : 20.06.2017

გაცნობის თარიღი : 20.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა კალანდაძე პ/ნ 01005007496
- თბილისი ლ.პასტერის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს 2017 წლის 6 ივნისის № AR1511555 განცხადებით მომართა შალვა კალანდაძემ და 2011 წლის 22 მარტის №339 მიწისნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლასაქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 22 მარტს ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე, №29-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.005.001; ფართით 3675 კვ.მ.) კომერციული ობიექტის ასაშენებლად გაიცა №339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. არქიტექურის სამსახურის 07.03.2013 წ. №577601, 19.11.2015 წ.

№2293377 და 30.06.2016 წ. №2684028 ბრძანებებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.
სამსახურის 2016 წლის 27 სექტემბრის № 2856622 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი.
დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს, საპროექტო ობიექტის გრაფაში დამატებით დაფიქსირდეს ავტოსერვისი, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის გრაფაში დამატებით დაფიქსირდეს ავტოსერვისის შენობა–ნაგებობა.
2. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნა: “ავტოსერვისის სექციების განთავსება განხორციელდეს ისე, რომ მათთან/მასთან მომსახურეობა არ აღიქმებოდეს მთავარი ქუჩის მხრიდან (ჩაუხედავობის პრინციპის დაცვით).“;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 მარტის №339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.